

უსაქონლო/ფიქტიური ოპერაციის ამსახველი პირველადი საგადასახადო დოკუმენტის გამოწერა 0244

ფაქტობრივი გარემოებები

საგამოძიებო/საგადასახადო ორგანოების მიერ დადგენილია, რომ დღგ-ის გადამხდელი პირის მიერ გამოწერილ იქნა უსაქონლო/ფიქტიური ოპერაციის ამსახველი ანგარიშ-ფაქტურა/ზედნაღები.

ანგარიშ-ფაქტურაში/ზედნაღებში ასახული თანხა არ არის შეტანილი ერთობლივ შემოსავალში და დღგ-ით დასაბეგრ ბრუნვაში.

ვარიანტი I
დადგენილია რომ დოკუმენტის გამოწერის სანაცვლოდ მიღებულია კონკრეტული თანხა.

ვარიანტი II
საგამოძიებო/საგადასახადო ორგანოების მიერ ვერ დგინდება ანგარიშ-ფაქტურაში/ზედნაღებში ასახული საკომპენსაციო თანხის ან მისი ნაწილის მიღების ფაქტი.

შეფასება

ორივე ვარიანტში
დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები კვალიფიცირდება როგორც უსაქონლო/ფიქტიური ოპერაცია.

ვარიანტი I
დოკუმენტის გამოწერის სანაცვლოდ მიღებული (დადგენილი) თანხა ჩაირთვება როგორც ერთობლივ შემოსავალში, ასევე დღგ-ით დასაბეგრ თანხაში.

ვარიანტი II
იმის გათვალისწინებით, რომ ვერ დგინდება ანგარიშ-ფაქტურაში/ზედნაღებში ასახული საკომპენსაციო თანხის ან მისი ნაწილის მიღების ფაქტი, მასში დაფიქსირებული საკომპენსაციო თანხა არ ჩაირთვება როგორც ერთობლივ შემოსავალში, ასევე დღგ-ით დასაბეგრ ბრუნვაში.

ღონისძიებები

ვარიანტი I
უნდა დაზუსტდეს მოგების გადასახადით დასაბეგრი შემოსავალი და დღგ-ით დასაბეგრი ბრუნვა.
პირი შესაბამის დეკლარაციაში გადასახადის შემცირების შემთხვევაში დაჯარიმდება სსკ-ის 275-ე მუხლით.
გადამხდელი (როგორც გამყიდველი, ისე მყიდველი) დაჯარიმდება ანგარიშ-ფაქტურაში მითითებული დღგ-ის თანხის 200%-ის ოდენობით სსკ-ის 282-ე მუხლის მე-3 ნაწილის და 280-ე მუხლის შესაბამისად.

ვარიანტი II
გადამხდელი (როგორც გამყიდველი, ისე მყიდველი) დაჯარიმდება ანგარიშ-ფაქტურაში მითითებული დღგ-ის თანხის 200%-ის ოდენობით სსკ-ის 282-ე მუხლის მე-3 ნაწილის და 280-ე მუხლის შესაბამისად.

ანოტაცია
„უსაქონლო/ფიქტიური ოპერაციის ამსახველი პირველადი საგადასახადო დოკუმენტის
გამოწერა“ №0244
სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

წარმოდგენილი სიტუაციური სახელმძღვანელოს მიზანია უსაქონლო/ფიქტიური ოპერაციის ამსახველი პირველადი საგადასახადო დოკუმენტის გამოწერის თაობაზე 0244 მენუალის კორექტირება. კერძოდ, არსებული რედაქციით, უსაქონლო/ფიქტიური ოპერაციის ამსახველი ანგარიშ-ფაქტურის/ზედნადების გამოწერა ექვემდებარება ამ დოკუმენტების გამოწერი პირის ერთობლივ შემოსავალში და დღგ-ით დასაბეგრ ბრუნვაში ჩართვას აღნიშნულის სანაცვლოდ მიღებული (დადგენილი) ფაქტობრივი საკომპენსაციო თანხის მიხედვით.

შემოთავაზებული რედაქცია ითვალისწინებს ფაქტობრივი გარემოების 2 ვარიანტს. კერძოდ, როდესაც საგამომიებო ორგანოების მიერ:

- დადგენილია რომ, გამომწერმა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა/სასაქონლო ზედნადები გამოწერა გარკვეული თანხის სანაცვლოდ;
- საგამომიებო/საგადასახადო ორგანოს მიერ ვერ დგინდება ანგარიშ-ფაქტურაში/ზედნადებში ასახული საკომპენსაციო თანხის ან მისი ნაწილის მიღების ფაქტი.

ვარიანტი I: დოკუმენტის გამოწერის სანაცვლოდ მიღებული (დადგენილი) თანხა ჩაირთვება როგორც ერთობლივ შემოსავალში, ასევე დღგ-ით დასაბეგრ თანხაში.

ვარიანტი II: იმის გათვალისწინებით, რომ ვერ დგინდება ანგარიშ-ფაქტურაში/ზედნადებში ასახული საკომპენსაციო თანხის ან მისი ნაწილის მიღების ფაქტი. მასში დაფიქსირებული საკომპენსაციო თანხა არ ჩაირთვება როგორც ერთობლივ შემოსავალში, ასევე დღგ-ით დასაბეგრ ბრუნვაში.